სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

20 მარტი 2024

N 05/811

შპს „MAGNIUM+“-ს
დირექტორს
ბატონ თამაზ ფიროსმანაშვილი

ასლი: შპს „ტავ ურბან საქართველოს“

ბატონო თამაზ,

თქვენი, 2024 წლის 29 იანვრის განცხადების (რეგ. #295/01) პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.19.18.003.144 დაგეგმილი სასაწყობო შენობის მშენებლობას, გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მაისის #111 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აეროდრომის რაიონის დადგენისა და ამ რაიონში ობიექტის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის წესი“-ს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიწის დონიდან (ნიშნული EGM96 სისტემაში - 520,6 მ) დასაშვებია 15 მეტრის სიმაღლის ობიექტის განთავსება, რომლის აბსოლუტური სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან EGM96 სისტემაში არ უნდა აღემატებოდეს 535,6 მეტრს.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240672964**
გაცემის თარიღი: **12/03/2024**

ადრესატი: თამაზ ფიროსმანაშვილი
პირადი ნომერი: 14001001100
მისამართი: დედოფლისწყარო ს. გამარჯვება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 5 მარტის № 01240644058-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 5 მარტის № 01240644058-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის I ჩიხი N10, ორხევი, ავტოგაზის უკან-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.19.18.003.144) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს თანხმობის მიღებიდან 2027 წლის 25 თებერვლამდე.

ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს მშენებლობის ვადაში 1(ერთი) თვის განმავლობაში

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ,

ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/Im3ncERBqA4RdDB

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



შენიშვნა:

სამუშაოების წარმოების ვადებია:
25/02/2024 - დან,
25/02/2027 - მდე.
სამშენებლო ღობე მოეწყოს 1 თვეში,
მითითებულ ვადების ჭრილში.

შენიშვნა:

სამშენებლო ტექნიკას მოძრაობა შეეზღუდოს პიკის საათებში:
08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და
17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე.

შუქ. ტ7 - 4 ც

ზებრა
გადასასვლელი

სასიგნალო
ლენტი

ტრანსპორტის
მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ტრანსპორტის
მოძრაობის მიმართულება

მედროშე
1 ადამიანი

ქვეითთა
მოძრაობა

ჭიშკარი

სერვიტუტი

სამშენებლო ღობე

ნახაზის დასახელება:	ქალაქი თბილისი, გივი ამილახვარის I ჩიხი N10, ორხევი, ავტოგაზის უკან (*ს/კ: 01.19.18.003.144*) სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა			მასშტაბი: 1:750
დამკვეთი:	შპს MAGNIUM+	ტელეფონის ნომერი:	597 70 50 40	თარიღი: 13.02.2024
შემსრულებელი:	ნიკა ხარაზიშვილი	ტელეფონის ნომერი:	598 310 410	
ხელმოწერა:	ნ.ხარაზ	*xarazishvilo@gmail.com*		ნახაზის ნომერი: 1



შენიშვნა:

სამუშაოების წარმოების ვადებია:
25/02/2024 - დან,
25/02/2027 - მდე.

შენიშვნა:

სამშენებლო ტექნიკას მოძრაობა შეეზღუდოს პიკის საათებში:
08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და
17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე.

შენიშვნა:

მოცემული ხე-მცენარეები აგეგმილია Total station-ით, UTM WGS-84 კოორდინატთა სისტემაში, შესაბამისად მათი ადგილმდებარეობა განსაზღვრულია ზუსტად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, სამშენებლო ღობე მოეწყოს არს. ხე-მცენარეების გარშემო ღიობებით, ისე რომ დამცავმა ქოლგამ არ გამოიწვიოს ნარგავების დაზიანება.

მედროშე
1 ადამიანი

დროებითი ჭიშკარი

ქვეითთა
მოძრაობა

1.00

დროებითი ღობის
დამცავი ქოლგა

შუქ. ტ7 - 4 ც

ტრანსპორტის
მოძრაობის მიმართულება

სერვიტუტი

სამშენებლო ტრანსპორტის
მოძრაობის მიმართულება

ელ. ბოძი

სამშენებლო ღობე

ნახაზის დასახელება:	ქალაქი თბილისი, გივი ამილახვარის I ჩიხი N10, ორხევი, ავტოგაზის უკან (*ს/კ: 01.19.18.003.144*) მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა			მასშტაბი: 1:750
დამკვეთი:	შპს MAGNIUM+	ტელეფონის ნომერი:	597 70 50 40	თარიღი: 13.02.2024
შემსრულებელი:	ნიკა ხარაზიშვილი	ტელეფონის ნომერი:	598 310 410	ნახაზის ნომერი: 2
ხელმოწერა:	ნ.ხარაზ[signature]	xarazishvilo@gmail.com		

N

სახანძრო მანქანისთვის განკუთვნილი
შესასვლელ-გამოსასვლელი გზა

სერვიტუტი
68.468 კვ/მ.

01.19.18.003.085

01.19.18.003.144

01.19.18.003.021

ტროტუარის
განივი კვეთი

ტროტუარის
განივი კვეთი

სახანძრო მანქანისთვის განკუთვნილი
შესასვლელ-გამოსასვლელი გზა

მოსაწყობი
საავტომობილო გზა

მოსაწყობი
საფეხმავლო ბილიკი

ელ. ბოძი

არს. ღობე

საავტომობილო გზის
კონტური

სერვიტუტი

i=6%

შ.შ.მ. პირთათვის
ტროტუარზე მოსაწყობი
პანდუსი

შენიშვნა:

შ.შ.მ. პირთათვის ტროტუარზე მოსაწყობი პანდუსის სიგრძე, სიგანე და დახრის პროცენტულობა განისაზღვრება ფაქტიური მოწყობის პერიოდში სტანდარტების დაცვით

ნახაზის დასახელება:	ქალაქი თბილისი, გივი ამილახვარის I ჩიხი N10, ორხევი, ავტოგაზის უკან (*ს/ვ: 01.19.18.003.144*) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა			მასშტაბი: 1:750
დამკვეთი:	შპს MAGNIUM+	ტელეფონის ნომერი:	597 70 50 40	თარიღი: 04.03.2024
შემსრულებელი:	ნ. ხარაზიშვილი	ტელეფონის ნომერი:	598 310 410	
ხელმოწერა:	ნ.ხარაზ	*xarazishvilo@gmail.com*		ნახაზის ნომერი: 3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240661257**
თარიღი: **06/03/2024**

ადრესატი: თამაზ ფიროსმანაშვილი
პირადი ნომერი: 14001001100
მისამართი: დედოფლისწყარო ს. გამარჯვება

ბატონო თამაზ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 31.01.2024 წლის №0124031292-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.144) ინდივიდუალურად სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.18.003.144), „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და ნაწილზე როგორც ძირითადი რუკით სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2), ასევე თბილისის გამწვანების თემატური რუკით ნაწილზე განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2).

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, **სამრეწველო ზონა 2 (ს-2) წარმოადგენს ერთგვაროვან სამრეწველო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების და ნაგავსაყრელის ტერიტორიებს;**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გენერალური გეგმის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის და 51-ე მუხლის თანახმად, **ს-2-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები; დასაშვებია სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.** სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ს განეკუთვნება ის საწარმოო ობიექტები, რომელთა ქალაქიდან გატანა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდება, ან არ იქნება სასურველი და, ამასთან, შეინარჩუნებენ თანმდევი ქალაქწარმომქმნელი ფაქტორის დანიშნულებას. წარმოებები გაზრდილი ეკოლოგიური მოთხოვნებით აგრეთვე თბილისის სამხრეთით, საფრენი ზოლის ქვეშ.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		–	კოეფიციენტი
კ-2		–	კოეფიციენტი
კ-3		–	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ
	მინიმალური		

ფართობი და ზომები	სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		-	მეტრი
შენიშვნა	-		

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მე-7 1 მიხედვით, ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების გარეშე, განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაძლებელია მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენება, თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის (დამხმარე შენობანაგებობებით ან მის გარეშე) განთავსების მიზნით, ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების ერთადერთ შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის (დამხმარე შენობანაგებობებით ან მის გარეშე) განთავსებით საკითხი არ საჭიროებს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებას და საკითხის განხილვისათვის უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიცპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით. ასვე გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე იგეგმება რამოდნეიმე შენობა-ნაგებობის განთავსება, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N01.19.18.003.144) მსჯელობა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში, მოქმედი ფუნქციური ზონის სამრეწველო ზონა (ს-2) შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი მოქცეულია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონის შეზღუდვის ზონაში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოთან (შეთანხმებას არ ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე მიწის დონიდან არ აღემატება 3 მეტრს).

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი